# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 46-83

"22" ნოემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

**,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 21/02/2018წ., სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016490) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების":

**ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „წ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„წ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სარგებლობის ან საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების მესამე პირებისათვის სარგებლობის უფლებით (იჯარის, ქვეიჯარის, ქირავნობის, ქვექირავნობის, თხოვების ფორმით) გადაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;"

**ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს „წ²" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარის „წ³" ქვეპუნქტი:**

„წ³) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (თანა)საკუთრებაში არსებულ/დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებასთან ან/და სხვა სახის წარმოებასთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც უძრავი ქონების ან/და ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის/ შესაძლო მესაკუთრის პოზიციის დაფიქსირება;"

**გ) მე-10 მუხლის:**

**გ.ა) პირველ პუნქტს „ლ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარის „ლ¹" ქვეპუნქტი:**

„ლ[1]) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (თანა)საკუთრებაში არსებულ/დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებასთან ან/და სხვა სახის წარმოებასთან დაკავშირებით, სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში, დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც უძრავი ქონების ან/და ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის/შესაძლო მესაკუთრის პოზიციის დაფიქსირება;“

**გ.ბ) მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნტი::**

„ზ[1]) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (თანა)საკუთრებაში არსებულ/დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებასთან ან/და სხვა სახის წარმოებასთან დაკავშირებით, სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში, დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც უძრავი ქონების ან/და ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის/შესაძლო მესაკუთრის პოზიციის დაფიქსირება;“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე